მდინარე ალგეთის აუზის რელიეფის გეოეკოლოგიური ანალიზი

ლაშა მიქიაშვილი

ელ–ფოსტა: lasha.mikiashvili642@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

ანოტაცია

მდინარე ალგეთის აუზი გამორჩეულია უნიკალური ბუნებრივი პირობებით, გეოლოგიური აგებულებით, ლანდშაფტებით, ისტორიული და კულტურული ძეგლების სიუხვით, სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილმდებარეობით, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ინტენსიურმა საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობამ (გზების გაყვანამ, სტიქიური პროცესებისადმი სარისკო ტერიტორიების ათვისებამ, მაღალი გადამცემი ანძების აღმართვამ, ჰესების მშენებლობამ, გაზის მილსადენების გაყვანამ, ანუ რელიეფის ძლიერმა ანთროპოგენიზაციამ) და ბუნებრივმა პირობებმა გამოიწვია საშიში გეოდინამიური პროცესების (ღვარცოფები, ეროზიული მოვლენები, მეწყერი, მდინარეთა ნაპირების გარეცხვა, დახრამვა) დიდი მასშტაბით გააქტიურება, რასაც თან ახლავს ყოველწლიურად მნიშვნელოვანი მატერიალურ-ტექნიკური ზარალი.

საკვლევ ტერიტორიაზე განვითარებულია მრავალსახეობრივი გეოდინამიური პროცესები: ღვარცოფები, მეწყერები, წყალდიდობები, ეროზია და სხვ. სტიქიური პროცესები ვრცელდება საკვლევი ტერიტორიის თითქმის მთელ არეალში. რისი განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორიც ადამიანის ინტენსიური საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობაა, რომელიც ხდება ღვარცოფების, მეწყერების და ეროზიული პროცესების განვითარების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების ფონზე.

რეგიონის მეცნიერული შესწავლის შესახებ არსებული მასალებიდან და ამჟამად არსებული მდგომარეობის შედარებამ დაგვანახა, რომ ტერიტორიაზე ძლიერაა გააქტიურებული სტიქიური პროცესები.

აქედან გამომდინარე მდინარე ალგეთის აუზის რელიეფის ამჟამინდელი გეოეკოლოგიური მდგომარეობის დეტალური შეფასება მნიშვნელოვანია, მითუმეტეს იმ ფონზე, რომ მსგავსი რამ, კონკრეტული რეგიონის შესახებ დღემდე არ გაკეთებულა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სადიპლომოს კვლევის ამოცანას წარმოადგენს მდინარე ალგეთის აუზის რელიეფის გეოეკოლოგიური შეფასება.